მოქალაქე - იესავ ნიგურიანის მინდობილი პირის თამილა წიქარიშვილის ადმინისტრაციული საჩივრის (N:19/4421090208-44 31.03.2021წ.) განხილვის მიზნით ჩატარებული ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი

სხდომის ჩატარების დრო: 2022 წლის 07 ოქტომბრის 15:15 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

სხდომას ესწრებოდნენ: **გენადი კუჭუხიძე** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისიის თავმჯდომარე; **ნინო ცხოვრებაძე-ჭუმბურიძე** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისიის მდივანი; **ზიტა გულეიშვილი** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისიის წევრი; **მარიამ სამხარაძე** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი; **ნინო ჩაკვეტაძე** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; **ნუგზარ კილაძე** - ააიპ „მუნიციპალური ინსპექციის" მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; სალომე ალალიძე - ააიპ „მუნიციპალური ინსპექციის" იურისტი, ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი **იესავ ნიგურიანის** წარმომადგენელი- **თამილა წიქარიშვილი.**

სხდომა გახსნა ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისიის თავმჯდომარემ **გენადი კუჭუხიძემ.**

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისიის მდივანმა **ნინო ცხოვრებაძე-ჭუმბურიძემ**. კერძოდ, მან გააცნო კომისიის წევრებს საჩივრის შინაარსი: „მოგახსენებთ, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია მოქალაქე იესავ ნიგურიანის მინდობილი პირის თამილა წიქარიშვილის ადმინისტრაციული საჩივარი მოქალაქე იესავ ნიგურიანის დაჯარიმების შესახებ". განცხადებით მოქალაქე ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 25 თებერვლის Nდ-05.44210567 დადგენილება დაჯარიმების შესახებ.

ვლასი გარდაფხაძე - რეალურად თქვენც აღიარებთ, რომ უკანონო იყო მშენებლობა.

თამილა წიქარიშვილი - არ ვიყავი ინფორმირებული და მეგონა, რომ შეიძლებოდა აღნიშნული მშენებლობა მეწარმოებინა.

ნუგზარ კილაძე - მოქალაქე იესავ ნიგურიანს მიეცა მითითება, რათა 10 დღის ვადაში წარმოედგინა მიშენება-რეკონსტრუქციისთვის საჭირო ნებართვა და პროექტი, ან ჩაეტარებინა დემონტაჟი ნაწარმოები მიშენებისთვის და ბინა მოეყვანა პირვანდელ მდგომარეობაში.

მოქალაქემ ვერ წარმოადგინა საჭირო დოკუმენტაცია და არ შეასრულა მითითება. აღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა მისი დაჯარიმება.

ნინო ცხოვრებაძე-ჭუმბურიძე - თქვენ უნდა წარმოგვიდგინოთ მტკიცებულება, რასაც შეიძლება დაეყრდნოს ადმინისტრაციული ორგანო, ჯარიმის შესახებ დადგენილების გამოცემის პროცესში თუ იყო რაიმე ხარვეზი ან რაიმე სამართლებრივი უზუსტობა.

ვერ მოხდა თქვენი მხრიდან აღნიშნულის წარმოდგენა, შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დარღვეულია „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით.

კომისიამ ერთხმად მიიღო **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:**

1/. მოქალაქე იესავ ნიგურიანის წარმომადგენელს თამილა წიქარიშვილს უარი ეთქვას ადმინისტრაციული საჩივრის (N:19/4421090208-44 31.03.2021წ) დაკმაყოფილებაზე.
2/. მოქალაქე იესავ ნიგურიანის წარმომადგენელს თამილა წიქარიშვილს უარი ეთქვას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 25 თებერვლის Nd-05.44210567 დადგენილების ბათილად ცნობაზე.

გენადი კუჭუხიძე
ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი
კომისიის თავმჯდომარე

ნინო ცხოვრებაძე-ჭუმბურიძე
ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი
კომისიის მდივანი